



with funding from
Austrian
Development Cooperation



ISET MA Program in Economics
Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

სახელმძღვანელო ბიზნეს-იდების განაცხადის მომზადების შესახებ

ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის
(ENPARD)

პროექტი „თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისთვის“

ქეა საერთაშორისო კავკასიაში (CARE), რეგიონული განვითარების ასოციაცია (RDA),
ოსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)

*მცირე ბიზნესით დაინტერესებული ფერმერთა ჯგუფების / სასოფლო-სამეურნეო
კოოპერატივების საგრანტო კონკურსი საუკეთესო ბიზნეს-იდების გამოვლენისათვის*

1. ინფორმაცია პროექტის და საგრანტო კონკურსის შესახებ

„თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისთვის“ წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) პროექტს, რომელსაც ახორციელებს ქეა საერთაშორისო კავკასიაში (CARE Int. in the Caucasus), რეგიონული განვითარების ასოციაცია (RDA) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) დასავლეთ საქართველოს 7 მუნიციპალიტეტში: სენაკში, ხობში, აბაშაში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ცაგერსა და ახლად დამატებულ ლენტეხის მუნიციპალიტეტში.

პროექტის მიზანია ფერმერული მეურნეობების წარმოების ეფექტურობის ამაღლება და მათი შემოსავლების გაზრდა ბიზნესზე ორიენტირებული მდგრადი ფერმერული ჯგუფებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის წახალისებისა და მხარდაჭერის გზით.

კერძოდ, დაგეგმილია:

- ბიზნესზე ორიენტირებული ქმედითი და მდგრადი ფერმერთა ჯგუფების (კოოპერატივების ან შესაბამისი) შერჩევა-ხელშეწყობა წარმოების ეფექტურობის ამაღლებისა და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით;
- საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) გაძლიერება, რათა დაიცვას წევრი კოოპერატივების, ფერმერული ჯგუფებისა და მცირე ფერმერების ინტერესები და უფლებები;
- მცირე ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობა და ადვოკატირების გზით ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება;
- კაპიტალურ რესურსებზე, საბაზრო ინფორმაციაზე, ბიზნეს შესაძლებლობებსა და წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

საუკეთესო ბიზნეს-იდების გამოვლენის მიზნით, ENPARD- საქართველოს პროექტი „თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისთვის“, სამიზნე მუნიციპალიტეტებში (ასევე, ლენტეხშიც), აცხადებს ახალ საგრანტო კონკურსს ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერთა ჯგუფებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და არ ასახავს აღნიშნული ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას. ტექსტის შინაარსზე პასუხისმგებლობას სრულიად იღებს ქეა საერთაშორისო კავკასიაში კონსორციუმში შემავალ პარტნიორებთან ერთად.

ENPARD- საქართველოს პროექტის „თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისთვის“ ფარგლებში, სხვადასხვა საგრანტო კონკურსის შედეგად გამოვლინდება საუკეთესო ბიზნეს-იდეის მქონე მინიმუმ 60 მცირე ბიზნესით დაინტერესებული ფერმერთა ჯგუფი / სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთა წევრებიც მონაწილეობას მიიღებენ ბიზნესის დაგეგმარებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ორგანიზაციული განვითარების ტრენინგებში, პროექტის შემდგომი ეტაპისათვის (კონკრეტულად, ბიზნეს-გეგმების კონკურსისთვის) მომზადების მიზნით. ამასთან, მათ გაეწევათ ტექნიკური კონსულტაციები სოფლის მეურნეობის ექსპერტთა მიერ.

პროექტის განხორციელების პერიოდში, 4 წლის განმავლობაში შეირჩევა დაახლოებით 40 საუკეთესო ბიზნეს-გეგმის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. თითოეულ გამარჯვებულ პროექტზე, ბიზნეს-გეგმის საჭიროებიდან გამომდინარე, გამოიყოფა **დაბრუნებადი** გრანტი 5,000-40,000 ევროს ფარგლებში (საშუალოდ, 30 000 ევროს ფარგლებში, თითოეულ შერჩეულ ჯგუფზე).

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის კრიტერიუმები:

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტების, კერძოდ, სენაკის, ხობის, აბაშის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ცაგერისა და ლენტეხის:

- კოოპერატივებს;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს;
- არაფორმალურ ფერმერთა ჯგუფებს, რომელთა წევრებს აქვთ ერთად მუშაობის გამოცდილება;
- სხვა.

3. საგრანტო კონკურსის ეტაპები

საგრანტო კონკურსი განხორციელდება რამდენიმე ეტაპად:

I ეტაპი – ბიზნეს-იდეის განაცხადის ფორმის წარმოდგენა

ამისათვის კონკურსში მონაწილეობის მსურველი ფერმერთა ჯგუფები / სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ავსებენ ბიზნეს-იდეის განაცხადის ფორმას.

ბიზნეს-იდეის განაცხადის ფორმა მიიღება პროექტის ოფისში ხელზე ან იგზავნება ფოსტით შემდეგ მისამართზე: ქ. სამტრედია, კაკაბაძის ქუჩა #8.

საკონტაქტო პირი: თეონა მაქაცარია, ადმინისტრაციული ასისტენტი.

ტელ: +995 032 2236020 (ოფისი); +995 593 721812 (მობილური); ელ-ფოსტა: tmakatsaria@rda.ge;

ფორმა და განმცხადებლის სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ გვერდზე: www.rda.org.ge, ასევე სამიზნე მუნიციპალიტეტებთან არსებულ რეგიონულ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებში და პროექტის ოფისში ქ. სამტრედიაში (მის: კაკაბაძის 8, ტელ: +995 032 2236020) და გურიის რეგიონულ ოფისში (მის: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. #5).

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და არ ასახავს აღნიშნული ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას. ტექსტის შინაარსზე პასუხისმგებლობას სრულიად იღებს ქვა საერთაშორისო კავკასიაში კონსორციუმში შემავალ პარტნიორებთან ერთად.

განაცხადის ფორმა თავსდება კონვერტში, რომელზეც სრულყოფილი სახით უნდა მიეთითოს: პროექტის დასახელება: პროექტი ENPARD-„თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისთვის“, განმცხადებლის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 29 დეკემბერი, 18:00 სთ.

შენიშვნა: განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მხოლოდ შიდა მოხმარებისათვისაა განკუთვნილი, პროექტის მიზნებიდან გამომდინარე.

II ეტაპი – საუკეთესო ბიზნეს-იდეის გამოვლენა და შერჩეული ფერმერთა ჯგუფების/სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების გადამზადება

ამ ეტაპზე შეირჩევა საუკეთესო ბიზნეს-იდეები. შერჩეული ფერმერთა ჯგუფების / სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების წევრებს, რომელთაც კარგად აქვთ გააზრებული კოპერირების მნიშვნელობა და გააჩნიათ ერთობლივი ბიზნესის წარმატებით განხორციელების რეალისტური ხედვა, ჩაუტარდებათ ტრენინგები პროექტის ექსპერტთა მიერ ბიზნესის მართვის საფუძვლებსა (ბიზნეს-პროექტის დაწერა, საწარმოო გეგმის შედგენა, ფინანსური და მარკეტინგული დაგეგმარება და სხვა) და ორგანიზაციული განვითარების საკითხებში. ამასთან, მათ გაეწევათ ტექნიკური კონსულტაციები სოფლის მეურნეობის ექსპერტთა მიერ. ტრენინგები და კონსულტაციები დაიწყება 2015 წლის თებერვალში.

III ეტაპი – საუკეთესო ბიზნეს-გეგმების შერჩევა-გამოვლენა

ტრენინგში მონაწილე თითოეული ფერმერთა ჯგუფი / სასოფლო-სამეურნეო კოპერატივი შეიმუშავებს ბიზნეს-გეგმას და სრულყოფილად შევსებულ ბიზნეს-გეგმის განაცხადის ფორმას წარმოადგენს პროექტის ოფისში ხელზე ან ფოსტით, შემდეგ მისამართზე: ქ. სამტრედია, კაკაბაძის ქუჩა #8.

ბიზნეს-გეგმის განაცხადის ფორმის წარმოდგენის სავარაუდო ვადაა 2015 წლის მარტი. ამ ეტაპზე შერჩევის პროცედურების აღწერა, შესაბამისი ბიზნეს-პროექტის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები დამატებით მიეწოდება კონკურსში მონაწილე ჯგუფებს.

4. საგრანტო განაცხადების განხილვა და შეფასება

ბიზნეს-იდეები შეფასდება განაცხადის ფორმაში მოცემული ქულების შესაბამისად. მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტის, ჯგუფისა და ბიზნეს-იდეის განხორციელების შესაძლებლობის შესამოწმებლად შერჩევის პროცესში განმცხადებლებს ეწვევიან ტექნიკური ექსპერტები (საველე შეფასების გუნდი). განაცხადებს განიხილავს შესაბამისი კომისია, რომელიც შედგება პროექტის პარტნიორებისა და სათანადო დარგების ექსპერტებისაგან.

კომისია ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებისა და კრიტერიუმების მიხედვით განიხილავს და შეაფასებს ყველა წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადს. გამარჯვებული ფერმერთა ჯგუფების / სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების წევრებს კონკურსის შედეგები ეცნობებათ 2015 წლის თებერვალში.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და არ ასახავს აღნიშნული ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას. ტექსტის შინაარსზე პასუხისმგებლობას სრულიად იღებს ქვა საერთაშორისო კავკასიაში კონსორციუმში შემავალ პარტნიორებთან ერთად.

5. რა უნდა იქნეს გათვალისწინებული ბიზნეს-იდეის განაცხადის შედგენისას

აუცილებელი პირობები – ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნათაგან რომელიმეს შეუსრულებლობის შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება:

- განაცხადის წარმოდგენი ჯგუფის ყველა წევრი უნდა იყოს 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე და ბიზნეს-პროექტი, რომელიც მიიღებს თანადაფინანსებას, უნდა განხორციელდეს პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში: სენაკში, ხობში, აბაშაში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ჩოხატაურსა და ცაგერში, ასევე - ლენტეხში;
- განმცხადებელი ჯგუფის წევრთა რაოდენობა იმ სოფლებში, თემებსა და დაბებში, რომლებზედაც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე - 5-ზე ნაკლები;
- მოთხოვნილი საგრანტო თანადაფინანსების რაოდენობა განისაზღვრება 5,000-40,000 ევროს შესაბამის ლარში. განმცხადებელი ვალდებულია, უზრუნველყოს წარმოდგენილი პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მთლიანი ბიუჯეტის სულ მცირე 40%, საიდანაც მინიმუმ 20% უნდა იყოს ფულადი შენატანი, დანარჩენი კი – სხვადასხვა რესურსი (ინფრასტრუქტურა, აქტივები, ძირითადი საშუალებები, ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა);
- განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით;
- განაცხადი ივსება მოცემული ფორმის შესაბამისად;
- თითოეული ფერმერთა ჯგუფის / სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი საგრანტო განაცხადი;
- განმცხადებელი ჯგუფის არც ერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს ცუდი საკრედიტო ისტორია და მათი ანგარიშები არ უნდა იყოს დაყადაღებული.

სხვა მოთხოვნები - ამ მოთხოვნათა შესრულება დადებითად აისახება კომისიის შეფასებებზე:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი მარეგულირებელი აქტების შესაბამისად შედგენილი წესდება;
- არარეგისტრირებულმა ფერმერთა ჯგუფებმა უნდა დაადასტურონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვების სურვილი და მზაობა;
- ბიზნეს-იდეის განაცხადი, სამუშაოების თანმიმდევრობის გათვალისწინებით, დაყოფილი უნდა იყოს ეტაპებად. I ეტაპში მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ფერმერთა ჯგუფის / სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა წვლილი და სხვა დამატებითი დაფინანსების (სხვა დონორი, ინვესტორი, სესხი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) წყაროები. თუ განმცხადებელს ჰყავს თანადაფინანსების ალტერნატიული წყარო(ები) დამატებით, გარდა ქეა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და არ ასახავს აღნიშნული ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას. ტექსტის შინაარსზე პასუხისმგებლობას სრულიად იღებს ქეა საერთაშორისო კავკასიაში კონსორციუმში შემავალ პარტნიორებთან ერთად.

საერთაშორისო კავკასიაში, მაშინ საგრანტო განაცხადს უნდა დაერთოს საგრანტო წერილ(ებ)ი აღნიშნული დაფინანსების შესახებ;

- განაცხადს თან უნდა ერთვოდეს წვლილში ჩადებული აქტივების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- თუ პროექტის განხორციელება ეხება რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაციის ან კერძო პირის ინტერესებს (გარემოს დაცვა, მელიორაცია, გზები, არქიტექტურა, კერძო ნაკვეთის კვეთა, ადგილობრივი ინერტული მასალის გამოყენება და ა.შ.), შესაბამისი ადგილობრივი ორგანოებიდან და კერძო პირებიდან წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის განხორციელებაზე თანხმობის წერილები;
- თუ პროექტი ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციას, განმცხადებელმა უნდა წარმოდგინოს ცნობა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან შენობა-ნაგებობის მფლობელობის შესახებ;
- პროექტი უპირატესობას მიანიჭებს თანადაფინანსებას ტექნოლოგიასა და ინოვაციაში. სხვა სახის ხარჯები შეიძლება მხარდაჭერილ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, პროექტის გუნდის მიერ ყურადღებით შესწავლის შემდეგ. პროექტის სახსრები ვერ მოხმარდება მიწის შეძენას, მიწის რეგისტრაციას ან მშენებლობას.